

ԾՈՒՐԹԻ ԾՄԻՏՈՅՑԻ

Геóргий Гурджіев

**ՄԵՄՅԻՆԻ ԿՅՈՒՆԻՆ ԾԵՐԸԸ ԹՅՅԻՆ,
ԿՄԵՆ „ԵՅ ԵՍՏ“**

Жизнь реальна только тогда,
когда „я есть“

ԳՆՏՈՒՄԵՆԻՆԻ ԿԵՆՏՐ

ԵՐԵՎԱՆ -- 2021

ამ წიგნში გურჯიევი მიმართავს თანამედროვე ადამიანს, რომელსაც უკვე აღარ შეუძლია შეიცნოს ჭეშმარიტება სხვადასხვა ფორმით რომ იჩენს თავს მის წინაშე ჯერ კიდევ ადრეული პერიოდიდან მოყოლებული – ძალიან დაუკმაყოფილებელ ადამიანს, იზოლირებულად რომ გრძნობს თავს და უაზროდ ცხოვრობს.

მკითხველთა თვალწინ გადაიშლება მასწავლებლის მოქმედების მეთოდი, მასწავლებლისა, რომელიც თავისი თანდასწრებით გაიძულებს მიხვიდე საბოლოო გადაწყვეტილებამდე, გაიძულებს იცოდე რა სურს ადამიანს. უდიდესი ოსტატი ეხმარება მკითხველს, რომ მის აზროვნებასა და გრძნობებში შეიქმნას ჭეშმარიტი, და არა ფანტასტიკური, წარმოდგენა სამყაროზე, რეალობაში რომ არსებობს და არა იმ სამყაროზე, რომელსაც თითოეული ადამიანი აღიქვამს მოცემულ მომენტში.



მთარგმნელი: გია ბერაძე

გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2021 წელი

ვებ-გვერდი: **AKTI.GE**

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-3930-6

სარჩევი

წინასიტყვაობა	
ქანა და ტალღები.....	5
სხოვრება რეალური მხარე და შინა, რეალ „მე ვარ“	
ბიოგრაფიული 9	9
პროლოგი.....	11
შესავალი.....	69
პირველი საუბარი	88
მეორე საუბარი	106
მესამე საუბარი.....	121
მეოთხე საუბარი.....	138
მეხუთე საუბარი	153
აღსანიშნავი და შიდა სამყარო.....	167
დასრულების პრობლემა.....	190
ბავშვობის „აქტი“-ს მიერ გამოყვანილი ნიშნები... 205	

წინასიტყვაობა

ქანა ღე ნაცხბანი

„ჩემი უკანასკნელი წიგნი, რომელშიც მინდა გავუზიარო ჩვენი საერთო მამის სხვა ქმნილებებს, ჩემს მსგავსებს, ადამიანის შინაგანი სამყაროს თითქმის ყველა ადრე უცნობი საიდუმლოება, შემთხვევით რომ შევიტყვე“.

გურჯიევმა ეს სიტყვები 1934 წლის 6 ნოემბერს დაწერა და მაშინვე დაიწყო მუშაობა. მომდევნო რამდენიმე თვე მან მთლიანად ამ წიგნის იდეის დამუშავებას მიუძღვნა.

შემდეგ კი, 1935 წლის 2 აპრილს, მან ერთბაშად შეწყვიტა წერა.

ყველას აქვს უფლება იკითხოს რატომ თქვა მან უარი თავის ამ წამოწყებაზე სწორედ ამ ეტაპზე და შემდეგ აღარასოდეს მიბრუნებია მას?

რატომ დატოვა მესამე სერია დაუმთავრებელი და, როგორც ჩანს, უარი თქვა მისი გამოქვეყნების განზრახვაზე?

ამ შეკითხვებზე შეუძლებელია პასუხის გაცემა, თუ ადამიანი თვითონ არ მონაწილეობდა იმ დაძაბულ შრომაში, რომელსაც გურჯიევი ეწეოდა თავისი ცხოვრების ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში რამდენიმე მოსწავლესთან ერთად, დღიდან დღემდე უქმნიდა რა მათ პირობებს, აუცილებელს მისი იდეების უშუალო და პრაქტიკული შესწავლისათვის.

მან თავისი წიგნის – „ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის“ – ბოლო გვერდზე მკაფიოდ მიაწიშნა, რომ მესამე სერია მისაწვდომი იქნებოდა მხოლოდ მათთვის, ვი-

საც შეარჩევდნენ, როგორც უნარიანები საიმისოდ, რომ ჩამწვდარიყვნენ „ნამდვილ ობიექტურ ჭეშმარიტებებს, რომელთაც ის „გააშუქებდა“ ამ სერიაში“.

გურჯიევი მიმართავს თანამედროვე ადამიანს, ანუ ადამიანს, რომელსაც უკვე აღარ შეუძლია შეიცნოს ჭეშმარიტება სხვადასხვა ფორმით რომ იჩენს თავს მის წინაშე სულ ადრეული პერიოდიდან მოყოლებული, ძალიან დაუკმაყოფილებელ ადამიანს, იზოლირებულად რომ გრძნობს თავს და უაზროდ ცხოვრობს.

ამრიგად, თუ წარმოვიდგენთ, რომ ასეთი ადამიანი არსებობს, როგორ გავაღვიძოთ მასში გონება, რომელსაც შეეძლება რეალური ილუზორულისგან განასხვავოს?

გურჯიევის მიხედვით ჭეშმარიტებას შეიძლება მიუახლოვდე მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანის არსების ყველა შემადგენელი ნაწილი – აზროვნება, ემოცია და სხეული – მოქმედებაშია მოყვანილი ერთი და იგივე ძალით და საშუალებით, რომელიც თითოეულ მათგანს შეესაბამება. წინააღმდეგ შემთხვევაში განვითარება აუცილებლად ცალმხრივი იქნება და ადრე თუ გვიან ჩიხში მოექცევა.

ამ პრინციპის ღრმად ჩანვდომის გარეშე, საკუთარ თავზე მთელი მუშაობა აუცილებლად აცდება თავის მიზანს. ყველაზე არსებითი პირობები არასწორად იქნება გაგებული და ადამიანი მიიღებს მხოლოდ ძალისხმევის ფორმის მექანიკურ გამეორებას, რომელიც არასოდეს აღემატება ორდინარულ დონეს.

გურჯიევმა იცოდა თუ როგორ გამოეყენებინა ცხოვრების ყველა გარემოება საიმისოდ, რომ ადამიანებისთვის ჭეშმარიტება ეგრძნობინებინა.

მე მინახავს ის მუშაობისას ყურადღებით რომ სწავლობდა თითოეული მოსწავლის გაგების უნარებს და სუბიექტურ სიძნელეებს, მინახავს როგორ აკეთებდა განზრახ აქცენტს ცოდნის ხან ერთ ასპექტზე და ხან მეორეზე. სრულიად განსაზღვრულ გეგმას მიჰყვებოდა, მუშაობდა ხან იმ აზრით,

**ცხოვრება ჩაიდურია მხოლოდ მაშინ,
როცა „მე ვარ“**

ბიორბი ბურჭიანი

პროლოგი

მე ვარ?... მაგრამ სად გაქრა ის სრული შეგრძნება საკუთარი თავისა, რომელიც ადრე ყოველთვის იყო ჩემში თვით-მოგონების პროცესის თვით-კვლევის ასეთივე მომენტებში?

ნუთუ ეს შინაგანი შესაძლებლობა შეძენილ იქნა ჩემს მიერ – ყველა სახის თვით-უარყოფის და თვითრეგულირების ხარჯზე – მხოლოდ იმისთვის, რომ ახლა, როცა მისი გავლენა ჩემი ყოფისთვის ჰაერზე უფრო მეტად აუცილებელი გახდა, ის უკვალოდ უნდა გამქრალიყო?

არა! ეს არ შეიძლება ასე იყოს! აქ რაღაც სწორად ვერ არის.

თუ ეს სიმართლეა, მაშინ ყველაფერი გონების სფეროში – ალოგიკურია.

მაგრამ ჩემში ჯერ კიდევ არ არის ატროფირებული გაცნობიერებული მუშაობის და განზრახ ტანჯვის უნარი.

ყველა წარსული მოვლენის გათვალისწინებით მე ჯერ კიდევ უნდა ვიყო.

მე მინდა!... და მე ვიქნები!

გარდა ამისა, ჩემი ყოფნა აუცილებელია არა მხოლოდ ჩემი პირადი ეგოიზმისათვის, არამედ ასევე მთელი კაცობრიობის საერთო კეთილდღეობისათვის.

ჩემი ყოფნა მართლაც აუცილებელია ყველა ადამიანისათვის. უფრო მეტად აუცილებელიც კია მათთვის, ვიდრე მათი დღევანდელი კეთილდღეობა და ბედნიერება.

მე მინდა კიდევ ვიყო... მე ჯერ კიდევ ვარ!

ადამიანის აზრების ასოციაციის ჩაუნჯდომელი კანონებით, ახლა, სანამ დავიწყებდე ამ წიგნის წერას, რომელიც ჩემთვის იქნება მესამე – ანუ საინსტრუქციო – სერია წერილებისა – და საერთოდ ჩემი უკანასკნელი წიგნი, რომელშიც მინდა გავუზიარო ჩვენი საერთო მამის მიერ შექმნილ სხვა ქმნილებებს, თვითონ ჩემს მსგავსებს, ადამიანის შინაგანი სამყაროს ადრე უცნობი თითქმის ყველა საიდუმლოება, რომლებიც მე შემთხვევით შევიტყვე. მე ისევ მომივიდა თავში ზემოთ ციტირებული ის თვით-შთაგონება, რომელიც გრძელდებოდა ჩემში თითქმის რაღაც ბოდვის მდგომარეობაში ზუსტად შვიდი წლის წინ რომ ვიყავი და, ასე მგონია ახლაც გრძელდება.

ეს ფანტასტიკური მონოლოგი ჩემში 1927 წლის 6 ნოემბერს მიმდინარეობდა, ადრიან დილით, პარიზში, მონმარტრის ერთ-ერთ ლამის კაფეში, როცა უკვე ქანცის განყვეტამდე დაღლილმა ჩემი „ბნელი“ ფიქრებით, გადავწყვიტე სახლში წავსულიყავი და იქ კიდევ ერთხელ მეცადა შევძლებდი თუ არა კიდევ ერთხელ, თუნდაც ცოტა ხნით, წამეძინა.

თუმცა ჩემი ჯანმრთელობის საქმე საერთოდ მაშინ ცუდად იყო, მაგრამ იმ დილით თავს განსაკუთრებით უქეიფოდ ვგრძნობდი.

ჩემი უბადრუკი მდგომარეობა იმ დილით კიდევ უფრო გააუარესა იმ ფაქტმა, რომ უკანასკნელი ორი თუ სამი კვირის განმავლობაში დღე-ღამეში ერთ თუ ორ საათზე მეტი არ მეძინა, იმ ბოლო ღამეს კი საერთოდ ვერ შევძელი დაძინება.

ამ უძილობის და ჩემი ორგანიზმის თითქმის ყველა ფუნქციის იმ დღეებში მეტისმეტი მოშლილობის ძირითადი მიზეზი, იყო ჩემს ცნობიერებაში განუწყვეტელი დინება „მძიმე“ აზრებისა, როგორც ჩანდა გამოუვალი სიტუაციის გამო, რომელშიც მე აღმოვჩნდი.

იმის ახსნა რომ შევძლო, თუნდაც მიახლოებით, თუ რა იყო ეს ჩემთვის გამოუვალი სიტუაცია, ჯერ ასეთი რამ უნდა გითხრათ:

ბამოხჯაქლობა „აქტი“-ს მიერ ბამოხჯაქული ნიბნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
12. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
13. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
14. ბერტრან რასელი – ესეები
15. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
16. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
17. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
18. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
19. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
20. ერის ფრომი – ადამიანის სული

21. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
22. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
23. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

25. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
26. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები
27. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

28. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
29. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

30. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
31. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
32. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია

33. ოშო – რა არის მედიტაცია?
34. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

35. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
36. დევიდ ლოურენსი – ფსიქონალიზი და არაცნობიერი
37. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა

38. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
39. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ

40. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
41. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
42. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I
43. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი II
44. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი III

45. ეკჰარტ ტოლე – ანმყოს ძალა
46. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა: ჰიეროფანიები და ენერგეტიკული პარადიგმები

47. ნონა ხიდუშელი – მეტამორფოზა
48. ნონა ხიდუშელი – **Carpe diem**

49. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
50. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
51. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია